საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პროგრამების
2025 წლის 9 თვის ანგარიში

შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი - 30 03

1.3 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება - (30 03)

პროგრამის განმახორციელებელი: შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	**დასახელება**	**წლიური დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური დაზუსტებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება	**12 500.0**	**12 500.0**	**7 165.8**	**57.3%**	**144 064**

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მიმდინარეობდა ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა, განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარიტული, სახიფათო, მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);
- ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა (საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 134 309 გასვლა);
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული პლაცის ტერიტორიაზე სასწავლო ოთახის, დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მე-6 სართულის დერეფნის და გლდანი-ნაძალადევის დაცვის პოლიციის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სანიტარული კვანძების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.
- დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში განხორციელდა ამორტიზირებული კიბის უჯრედების (ცენტრალური და სათადარიგო) სარემონტო სამუშაოები, ამორტიზირებული სამგზავრო ლიფტის დემონტაჟი და ახალი სამგზავრო ლიფტის მონტაჟი;
- გარემონტდა სხვადასხვა დასაცავი ობიექტების დასაცავად საჭირო 30 ცალი დაცვის საგუშაგო ჯიხური;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა 30 ერთეული მაღალი გამავლობის პიკაპის ტიპის და 60 ერთეული ჰეჩბექის ტიპის ოპერატიული დანიშნულების ავტომანქანა.
- დაცვის ტექნიკური საშუალებებით დასაცავი ობიექტების პერიმეტრული დაცვისათვის შეძენილ იქნა 600 ცალი საკონტროლო პანელი.
- სასერვერო და ქსელური ინფრასტრუქტურის განახლებისათვის შეძენილ იქნა 16 ცალი ქსელური კომუტატორი.